საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №53/2018
2018 წლის 14 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 7 ნოემბრის №52/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველის „გ" ქვეპუნქტის; 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 7 ნოემბრის №52/2018 დადგენილებას (სსმ ვებ-გვერდი: www.matsne.gov.ge, 08/11/2018, 010190020.15.008.016427) დაემატოს 5^1 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5^1. სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბნებში გასამართი მეორე ტურის კენჭისყრის ვადები

სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბნებში (გარდა შეიარაღებულ ნაწილებში შექმნილი უბნებისა) მეორე ტურის ხმის მიცემის პროცედურები გაგრძელდეს ადგილობრივი დროის 24 საათამდე.".

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**
კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**